



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

დუმასტური

დუმასტური, სოფელი ახმეტის მუნიციპალიტეტის ზემო ხალანის თემში (კახეთის მხარე), მდ. ალაზნის მარცხ. მხარეს. ზ. დ. 680 მ, ახმეტიდან 24 კმ. 231 მცხ. (2002).

სოფელი ისტ. წყაროებში პირველად მოხსენიებულია XVIII ს-ში. XX ს. დასაწყისში აქ ოსი მოახალშენნი ჩამოსახლდნენ. დ-ის მახლობლად შემორჩენილია ფეოდ. ხანის თავდაცვითი კომპლექსის (კოშკი, გალავანი და მთავარანგელოზის ეკლესია) ნანგრევები.

სოფლის დას-ით დგას დარბაზული ეკლესია, რ-იც თითქმის მთლიანად დანგრეულია. შემორჩენილია საკურთხევლის ნაშთი და ჩრდ. კედლის მცირე ნაწილი. ეკლესიას სამხრ-იდან და ჩრდ-იდან გვიანდელი მინაშენები ეკვროდა. ნაწილობრივ შემორჩენილია მხოლოდ ჩრდ. მინაშენი.

სოფლის აღმ-ით 400 მ-ზე მდებარეობს მთავარანგელოზთა ეკლესიის კომპლექსი.

დ. მუსხელიშვილი
